საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-75

18/01/2021

ქ. თბილისი

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაზე ტერიტორიული ორგანოს - ქუთაისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ნარჩენების ინსინერაციისთვის განკუთვნილი მინი ინსინერატორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის I დანართის მე-16 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაზე ტერიტორიული ორგანოს - ქუთაისის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ნარჩენების ინსინერაციისთვის განკუთვნილი მინი ინსინერატორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნა N2 (12.01.2021);
2. სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N2 (12.01.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი